




# საბურთაქო

30. —საღამური  
ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

## მ თ ა ვ ლ ი ს ს კ ო ლ ა .


სახალხო განათლების მინისტრმა ახალი განკარგულება გამოსცა, რომლის ძალით სკოლებში ბავშვებს სამხედრო სელონებაც უნდა შეაწავდონ.




ლოგოვჩაია ს. ბიბოვისა

ქრეთა მიღება სასწავლებლებში.

სკოლაში გამგზავრება.



1 გაკვეთილი: ცხენოსნობა.



2 გაკვეთილი: სროლაში ვარჯიშობა.

## ახალი სკოლა.

(სახუმარო ამბავი).

მაკრინეს ნატერა  
 დღეს უკვე ახლა:  
 იმისი ვაჟი  
 შვიდი წლის გახდა!  
 ხუთი წელია  
 ქმარი მოუკლეს,  
 მაკრინეს ოჯახს  
 დარჩა მხოლოდ ეს.  
 ეს ერთი ბურჯი  
 და შემნახველი...  
 დათიკო გახლავთ  
 მისი სახელი.  
 მკვირცხლი, მალხაზი,  
 დაუდეგარი,  
 მთელი დღე დაჰქრის  
 ვით ნიავ-ქარი...  
 ოჯახს აცოცხლებს  
 და აფერადებს,  
 დედას უქარვებს  
 ნაღველს და დარდებს.

დღეს შეათეჯერ  
 არის სკოლაში,  
 გამოიცადა  
 ხელი ბრძოლაში,  
 და აი „სწავლით“  
 დანატვირთავი  
 გამოჩნდა მისი  
 ლამაზი თავი.  
 სწრაფათ გააღო  
 ეზოს კარები  
 და შიშხილისგან  
 ანაჩქარები  
 შეიქრა სახლში  
 როგორც შურდული  
 ის გულ ზვიადი  
 და გაბედული.  
 — გათავდა, შვილო,  
 კაკვეთილები?  
 — დიახ! „ტაკ ტოჩნო!“  
 — მართას სვილები  
 არ წამოსულან,  
 თუ იქ დატოვეს?  
 — დიახ, „ტაკ ტოჩნო!“  
 ვანოს და ნოეს  
 დაუგვიანდათ  
 „ნაუჩენიე“  
 და კიდევ მისცეს  
 „ნაკაზანიე“.

— შენ ხომ დროზედვე  
 გამოეცხადე?  
 — დიახ, „ტაკ ტოჩნო“,  
 ყველაზე ადრე.  
 — რა ამბავია  
 სულ ეგ „ტაკ ტოჩნო“,  
 მოდი, გენაცვა,  
 ერთი ჩაგპროშნო.  
 მეტი რუსული  
 ვერ დაიხსომე?  
 — „ნიკაკ ნეტ, მამა!“  
 საქმელი რომე,  
 თორემ აღარ მაქ  
 ამდენი ვადა,  
 მივალ „უროკის“  
 დასასწავლადა.

უცებ შეყლაპა  
 პური და ყველი,  
 (ღვინოსაც აღარ  
 დააქლო ხელი!)  
 და გამოეარდა  
 ეზოში კვალათ  
 სავარჯიშოთა  
 და განსასწავლათ.  
 უცებ მოაძრო  
 თოხისა ტარი,  
 და ვით დიდი ხნის  
 მხედართ მთავარი  
 მოახტა „ლურჯას“  
 და გააქროლა  
 მოაჯირგალა  
 ხავერდის მოლა.  
 — დათიკო, შვილო,  
 რას შეგები ამას?  
 რისთვის ჩქაროდ  
 საქმელის ქამას?  
 სათამაშო დრო  
 სადა გაქვს, ნენა,  
 ჯერ გაიწაფე  
 კითხვაში ენა.  
 — რას ამბობ, დედი,  
 შენი ქირიმე,  
 შენა გკონია  
 ვთამაშობდი მე?  
 ცხენოსნობაში  
 ვიწაფებოდი,  
 ხან ძირს, ხან მალა  
 მისთვის ვბტებოდი.  
 მინისტრებისგან  
 არის ბძანება,  
 უნდა ვიცოდეთ  
 ცხენის ტარება.

დიდი ძალაა კავალერია,  
 თუ მამულს მტერი  
 შემოერი.  
 — რას ამბობ, ბიჭო,  
 რის კავალერი  
 სიტყვა ისწავლე  
 ორიოდ ღერი...  
 — აი მიყურე:..  
 სროლა მიზანში!  
 თუ მოხვდეს იმ გოქს  
 აგი ქვა თავში.  
 (გამოუმიზნა,  
 უსწორა თვალი,  
 ესროლა, მოხვდა...  
 გოქი საწყალი  
 იქვე დაეცა  
 თავ-რეტ დასხმული...  
 დათიკოს შიშით  
 გაუსკდა გული).  
 — აგი რა ქენი  
 შე სასიკვდილევ,  
 ჯანსა და ღონეს  
 ამაში ილევ?  
 იგია შენი გაკვეთილები,  
 რომ ჩამტერიო  
 გოქებს კბილები?  
 ოი დაგლახეროს  
 მოწყალე ღმერთმა,  
 კინალამ მოკლა  
 გოქი ამ მხეცმა.  
 — შე რომ მიწყრები  
 ჩემი ბრალია?  
 მეთი ჯერ არა  
 დამისწავლია.  
 — აგია სწავლა  
 შე საძაგელო,  
 რომ გოქი მოკლა,  
 ბალახი თელო?!  
 — სხვაიც კი ვიცი  
 რაც იქ მასწავლეს...  
 კითხე თუ გინდა  
 «უჩიტელ» პავლეს.  
 „მარშიროვკები“  
 «ჩესტის» მიცემა,  
 ოპ, რანაირი  
 იციან ცემა,  
 თუ ცოტა რამე  
 რიგზე ვერ ქენი!!!  
 კინალამ მოკლეს  
 მართას ევგენი!  
 — ბიჭო, რას ამბობ,  
 რისი «ჩესტები»

სკოლაში რისთვის  
 დაეხეტები?  
 ვინ არის სული  
 რომ წაიწყმინდა?  
 „მარშიროვკები“  
 რა შევ-ქვით მინდა!  
 — ახლა, დედილო,  
 სხვაფერი დროა:  
 ჩვენი სკოლები  
 სულ სამხედროა.  
 საომრათ გვზრდინ  
 და გვასწავლიან,  
 წიგნებისათვის  
 ვილას სკალიან.

ეშმაკი.

ორი კაცი ერთ არსებში.

(ამბავი მამა ვოსტორგოვის შესახებ).

გაზეთის თანამშრომელთან მუაილის  
 დროს (ბავშვთა გახრწნის შესახებ) მამა  
 ვოსტორგოვმა განაცხადა: თქვენ არ  
 უნდა აჯროთ ერთმანეთში უწინდელი  
 ივანე ივანეს ვოსტორგოვი და დღე-  
 ვანდელი ივანე ივანეს ძე ვოსტორგო-  
 ვიო“.

— რაშია საქმე? — შეეკითხა ექიმი ავთომყოფს  
 და ექვიანათ აათვლიერ-ჩათვლიერა იგი.  
 ავთომყოფმა მძიმეთ ამოიოხრა.

უბედურება თუ გნებავთ, ესაა! პიროვნება  
 გამოირკვედა მძიმე სახით. ჩემს არსებაში, ბ-ნო  
 ექიმო, ამ ჟამათ ორი ადამიანი ზის; გაგიკვირდათ!  
 ღმერთმანი, ორათ ორი! მართალია მოძღვარმა არ  
 უნდა მოიღოს სახელი უფლისა ამაოსა ზედა, მაგ-  
 რამ აქ იფიცებს არა ეს, არამედ ის. ის საზიზლა-  
 რი ივანე ივანეს ძე ვოსტორგოვი ასხენებს ღვთის  
 სახელს.

-- მომითმინეთ, მომითმინეთ, საქიროა საქმე-  
 ში გავერკვეთ.. როგორაო? რამდენი კაცი ზის  
 ამ ჟამათ თქვენს არსებაში?

— ორი, მხოლოდ ორი ცალი, ბ-ნო ექიმო,  
 ანუ ერთი წყვილი!..

• — ჰჰ! გასაოცარია! როგორა გრძნობთ მერ-  
 მე თავსა?

— რასაკვირველია სხვა და სხვა გვართ ბ-ნო  
 ექიმო! აი მაგალითად, როცა მე ვხედავ თქვენს  
 ოქროს სათუთუნეს, ან როცა ვუპკურეტ თქვენს  
 მომხიბლავ მოსამსახურე ქალს, მაშინ თავს გიქმავ  
 ივანე ივანეს ძეთა ვგრძნობ, ხოლო როცა მათ  
 თვალს მოვაშორებ, კვალად ღმობიერ და სათნო  
 იოანე იოანეს ძეთ ვიქცევი ხოლმე.

ექიმმა სწრაფათ წამოუსვა ხელი ოქროს სათუ-  
 თუნეს და სტოლის უჯრაში შეინახა. როცა შენი-

შნა ივანე ივანესძის ცბიერი თვლები ოქროს საათისაკენ მიპყრობილი, მსწრაფლ შეიკრა ტანისამოსის ღილები და ძვირფას ბეჭდოვანი ხელი, სიფრთხილის გულისათვის, ჯიბეში ჩაიყო. შემდგომად ამისა განაგრძო:

— მაშ ეგრე, გავარკვიოთ საგანი აბა მიზრძანეთ რაიმე ამ ორი ერთ არსების შესახებ.

— ინებეთ... დავიწყოთ ივანე ივანესძე ვოსტოგოვისაგან. უწინარეს ყოვლისა, მოძღვრის მოვალეობა მიძღვლებ მოგახსენოთ, ბ-ნო ექიმო, რომ ივანე ივანეს ძე ძლიერ ურიგო კაცია. უფრთხილდით მას, ბ-ნო ექიმო! მტაცებელი, გარყვნილი და ანგარებით აღსავსე პიროვნებაა, ბ-ნო ექიმო, ეს ივანე ივანესძე. სწორეთ ის იყო ბ-ნო ექიმო, რომ ერთხელ გაფლანგა სკოლის ფულები, გახრწნა მცირეწლოვანი მოსწავლე ბავშვები და შეაგინა ხატება უფლისა. მე ისე ვამბობ, თორემ ვიცი წაციხული და გაგებული გექნებათ. მე, იოანე იოანესძემ მაშინვე ვუთხარი მას: „ხატებთან რაღა გინდა ივანე ივანესძე, ეს არ არის კარგი საქმე მეთქი“. — „შენ შენს ქერქში დაეტიე ქოფაკო ძაღლო, როცა საქმის არაფერი გესმისო“ ასე. აი ამ სიტყვებით მიპასუხა!..

— თქვენ რაღა უბახუხებთ ამაზე? — შეეკითხა ექიმი.

— მე რა... საჩივრელათ ხომ ვერ წავიდოდნი? მოვითმინე, მეტი რა გზა იყო; დავთმე ერთი შეურაცხყოფა.

— მოძღვარისა და მწყემსი მამა იოანეს შეახებ რას გვეტყვი?

ავათმყოფი თითქო გამოცოცხლდა.

— ო ო ოო, ის, ბ-ნო ექიმო ქეშპარიტათ უნგარო, წმინდა პაროვნებაა. მშვიდი, ლობიერი, ერთ ურიგო სიტყვას არ იტყვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ მის აუცილებელი სამოთხე მოვლის, თუ რომ ამ საზიზღარ, გაქუცულ ივანე ივანესძემ არ წაუხლიდა საქმე.

ექიმი დააქკერდა ავათმყოფსა და შეეკითხა:

— აბა... რომელი ამათგანი უფრო ძლიერია?... ჰო, ნუ ყოყმობთ, თქვით? ნუ გეშინიათ, თქვენ ხომ ექიმის წინაშე დგებართ... ეს ჩემთვის აუცილებელი საჭიროებაა! აბა!

ავათმყოფს შერცხვა და თვლები დაუშო.

— აბა, რაღას მაცოვენებთ? რომელი უფრო ძლიერია?

— ივანე ივანესძე!

— აპაა! ჰმ! საქმე სერიოზული ყოფილა!

ექიმი მძიმეთ ჩაფიქრდა.

\* \*

განის კარიდან, ოთახში ექიმის პატარა ქალი შემოცქრილდა.

— მამილო! სენ ტელეფონთან გილევკავენ.

ავათმყოფი მიუახლოვდა ბავშვს, მტაცებლური თვლებით დააქკერდა და გასცინა:

— „სენ ტელეფონთან გილევკავენ!“ აი შე პატარა კულიანო, შენა! აბა, მოდი ძიასთან ახლოს, ნუ გეშინია! ეს რა გაქვს ყელზე, ა? ლენტი? ნუ გეშინია... ხე... ხე... ხე! აი სულელი!!!

ბავშვი ატირდა. ექიმი დაბრუნდა მეორე ოთახიდან და გაოცდა:..

— ეგ რაღა საზიზღრობაა?! როგორ არა გრცხვენიათ, ბატონო, უსუსური ბავშვის შეურაცხყოფა? ვადი, შეილო, აქედან, დედასთან წადი..

ავათმყოფმა დარცხვენით დახარა ნაკურთხი თავი და ხელები ჩაიქნა.

— სულ ის არის, ის საზიზღარი ივანე ივანესძე აი ამ წამში ველაპარაკებოდი: „სირცხვილია, ცოდვა ივანე ივანესძე, რასა შეგები მაგას მეთქი“ იმან კი ურცხვათ მიპასუხა: „ხმა ჩაიკმინდე, შენი საქმე არ არის. ბებერო ქოფაკო“. როგორ მოგწონთ, ა? ეს მე მითხრა, მე, მოძღვარსა და მწყემსს!..

— კარგი, მაგრამ მოძღვარს რა ჯანაბისათვის სძინავს და სიტყვას არ უბრუნებს?

— ის სუსტია, სათუთია, ბ-ნო ექიმო! მაგრამ გარწმუნებთ, ჩემო ძვირფასო, რომ ბავშვებს ვაყრობა როგორც მამა, სრულიად უნგარო განზრახვით. აი, ფიქრობს ის, მწყემსი კეთილი, რომ ბავშვები ყვავილია ცხოვრებისა... უფლის, თავს ვვლენა მათ, რომ აღმოიზარდონ ღირსეული მოქალაქენი. პატარა ქალი, ის ტურფა, სათუთი ყვავილია. მას მუდამ მზრუნველობა, მუდამ თვალყურის დევნა ექვირება. პაწაწინა ხელები, წითელი, ფუნჩულა ტუჩები .. მის პატარა, ლამაზ ფეხს რო დინახავ... ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! მოძღვარმა დავიწყე და ივანე ივანესძეზე არ გადაველ! ოჰ, რა საზიზღარი ვინმეა ეს ივანე ივანესძე!

— დიახ... უნდა გამოგიტყდეთ, ბ-ნო ჩემო, რომ თქვენი ავათმყოფობა არც ისე სახუმაროა! ის მოითხოვს ხანგრძლივსა და ერთგულ ექიმობას; აგრეთვე ცხოვრების პირობათა გამოცვლას. ეხლავ გამოგიწეროთ საჭირო წამალს.

ექიმმა დასწერა ქალაღდის ნაგლეჯზე რამოდენიმე სიტყვა და გადასცა ავათმყოფს. იმან წაიკითხა და შეჰყვირა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ეს რასა ხედავს ჩემი თვლები: „ჩაისვას ხუთიოდ წლით საპყრობილეში“. ეს რა ამბავია, ბ-ნო ექიმო?!

ექიმმა მხრები აიჩჩა.

— რა ვქნათ, ეგ ერთათ ერთი წამალია ამ სწულელებათაგან: უშიშარი და უებარი.

— არა... რუსეთში ეს წამალი ვერ მიშველის ბ-ნო ექიმო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ არის არც ერთი ავთიაქი, საიდანაც ამ წამლის შოვნა შეიძლებოდეს. ხედავთ, სხვებისათვის რამდენი ავთიაქია და ჩემთვის კი ერთი არა.

— როგორ თუ არ არის?

— არ არის და არა! სულელებს, ვუყვარვარ ძლიერ.

ავათმყოფი ადგა, პირჯვარი გადაიწერა, თვალი უქნა კედელზე მიკიდულ სურათს ექიმის მეუღლისას და სტოლზე თუმნიანი ქაღალდი დასდო

— აი, სახიერი მოძღვარი გაძლევთ რჩევა-დარიგებისათვის, მაგრამ ოქროს მოყვარე ივანემა სწრაფათ იკრა ჯიბეში თუმნიანი და გავიდა. დერეფნიდან მსახური ქალის კივილი მოისმა.

თ.მა აპისკინი.

„სატრიკონი“

### ზატარა ინტერვიუ.

— დიახ, ეშმაკისაგან გვაქვს მონდობილობა ორიოდ შეკითხვა მოგკეთ მათი ბრწყინვალეების იოსებ ვეგენის-ძე თავადი ვაჩნაძის წერილის შესახებ.

გოთუა პართენი ცოტათი შეერთა, ცხვირის ნესტოთა განაპირა მოხაზულობა ოდნავ შეუთამაშდა, ყურების ბიბალონი წითელ დროშასავით აენთენ და მთელი სახის გამომეტყველება დაღრეჯილობის ეშხით გაუშუქდა.

— მარტო ვე არის?

მორცხვი კილოთი, როგორც სჩვევია \*) საზოგადოთ „ნოვია რეის“ რედაქტორს, იკითხა პართენ გოთუამ.

— განა ერთი რედაქციისთვის ცოტაა ამოდენა სისულელე? ოჰ, რა ხარბები ხართ ვე გაპარუ სკებული ქართველები!

— არ ვიცი სწორეთ რაში სჩანს ჩვენი სიხარბე!

კვალად უმანკო კილოთი წარმოსთქვა ყოფილმა დრამატურგმა.

— ცუდი არაფერი იფიქროთ, სრულიადაც ახრათ არა მაქვს თქვენი შეურაცხყოფა. მე მოვახსენებთ სენსაციების სიხარბეზე და სხვას არაფერს. ოღონდ ათი ნომერი მეტი გაიყიდოს და საღ გონებას სარედაქციო გოდარში მიმალავთ.

— წერილი ბ-ნი ვაჩნაძისა გაუსწორებელია...

— წერილი კი არ არის გაუსწორებელი, არამედ თქვენა და თქვენი რედაქცია ბრძანდებით გაუსწორებელი. ყველაფერს გაასწორებს ადამიანი, მაგრამ თქვენ კუზს თვით სამარეც ვერაფერს დააკლებს.

\*) 381

— მაკვირვებს, ღეროთანი, თქვენი ასეთი სასტიკი კილო...

— მეც ვამიკვირდებოდა თქვენი ასეთი სიხარბე, რომ არ ვიცნობდე თქვენს ბუნებას და მოუღრეველ მისწრაფებას სენსაციებისადმი. რაკი უკუღმართი შემთხვევით გაზეთის ხელმძღვანელი გახდით, ნუ თუ ფეხებიც შიგ უნდა ჩაყოთ? ეგ სირცხვილია, ბ-ნო რედაქტორო, სირცხვილი.

— მაშ არ უნდა დაგვებეჭდა დასჯილი ადამიანის წერილი?

— გვესმის თქვენი დასჯილთა მოსარჩლეობა, რომელიც ორი აბაზის მოგების სურვილით არის გამოწვეული!

— ის ხომ მსხვერპლია ბ-ნი მდიენისა; აი თუ გასურთ მოისმინეთ რასა სწერს ბ-ნი ვაჩნაძე: „დაე მე ვიყო მსხვერპლი \*), მსხვერპლი სხვათა ცოდვების გამოსასყიდათ! მშობლებო, ყური ათხოვეთ და დაეხმარეთ საზოგადო საქმეს, ვიდრე გვიანი არ არის“. განა ამის შემდეგ გვეთქმოდა რამე?

— ამის შემდეგ თუ არ გეთქმოდ: თუ თუ დაბეჭდვის შემდეგ ბედავთ კიდევ ლაპარაკს? ყოფილი მოსწავლე, რომელმაც მასწავლებელს ასეთი შეურაცხყოფა მიაყენა, ერთი სიტყვითაც არ იხანებებს თავის ნამოქმედარს, კიდევაც ამართლებს მას და თქვენ კი, სენსაციების მოყვარულო, საჯაროთ გამოგაქვთ ასეთი ქეშმარიტ-თავადური მოსაზრებები.

— რაებს მიკითხავთ რომ არ ვიცი? განა მე არ მახსოვს ჩემი გუშინდელი თავ-გადასავალი? თუ კი ჩემი შეურაცყოფით ერთ კვირესა და მეტსაც აჯახირეს გაზეთები, დიდი საქმეა მდიენის შეურაცხყოფაზედაც დაიწეროს რამე? თქვენ ერთს ამბობთ სიმართლეს: მაშინ გულში კიდევავც მიხაროდა, რომ ისეთ საქმეს გადამიკიდა გიგომ. ჯერ ერთი ისა, რომ ქვეყანამ ჩემზე დაიწყო ლაპარაკი, ხოლო მეორე და უმთავრესი, გაზეთის ტირაჟმა იმატა. ჩვენი გაზეთი სწორეთ იმ დლიდან დადგა ფეხზე.

— მაშ ერთი ორი ისეთი სიამოვნება რომ შემგემთხვევთ, „ლისტოკის“ ოჯახს თავდაღმა დაექცევთ.

— მაგრამ მარტო ესეც არა გვაქვს მხედველობაში. ვაჩნაძის წერილი უმთავრესად ბ-ნი ბრანდის წერილის დასასურათებლათ მოვითავსეთ.

— ნუ თუ ბ-ნი ბრანდის ნაბრანდავის დასასაბუთებლათ კიდევ ვაჩნაძის ბრანდვა იყო საქირო?

— თქვენთან არავითარი საბუთი აღარ საბუთობს...

\*) ეს რაღაც განსაკუთრებული სახეა მსხვერპლისა! მასწავლებელს ყბა კინადამ მოამტვრია და თავის თავს მსხვერპლს ეძახის. ქართულ გიმნაზიაში იქნებ ასე ესმით მსხვერპლის შეწირვა.

— იმას რიდათი ასაბუთებთ, რომ წერილი არ გაგისწორებიათ?

— ნუ თუ ამაზედაც საბუთია სხტირა? თქვე დალოცვილო, მოკვედი ამდენი სწორებით! რედაქციაში ისეთი ხალხი მყავს, რომ ყველას სწორება და გადასწორება სტირია. ეს „ბრანდია“, ეს „დუმეციო“, ეს „ნიგოიკსიო“, ეს „ტ-დე“ და სხვ. ცენზორობის დროს არ მიწევდა ამდენი სწორება სტილსა და აზრისა ..

მე გულისანათ გამეცინა და ვაპატიე ბ-ნ გო-თუას ყოველივე დანაშაული.

ყარუშია.

ღმერთო მღირსე!

ლაყვარდსა ცაზე ვარსკლავთ კრებანი მკრთალის ნათელით ოდნავ კრთებთან, და დილის სხივით შენაფრქვევ ცაზე ფერსა ჰკარგავენ, ნელ-ნელ ჰკრებთან.

ცაზე აწვილნი მთანი მალაღნი ძილს თავს აღწევენ იზმორებთან, ზედ გაწოლილნი ნისლთ ჰარავანნი იბენტებთან, ცრემლათ დნებთან.

აგერა კიდევ აღმოსავლეთი განთიადისა სხივით განათდა და ცეცხლის ეტლით მნათობთ-მნათობი ამოკისკასდა, ამოლაყვარდა.

საკინძე გახსნილ ბაღნარ წალკოტმა თექა აშალა ნეტარებითა და მოიქარგა კიდით-კიდმდე სურნელოვანი ყვავილებითა.

ტყე აშრიალდა სიოს მობერვით, ტბა აქანავდა ხშირ ღერწმოვანი ცისა სივრცეში ლაღ ფრთოსნებისა გაისმა ჰანგი ტკბილ ცისკროვანი.

შვებისა შვილმაც ნეტარებისა ქება მიუძღვნა ალაშს დილისას და დაეწაფა ნეტარის ნაკადულს წალკოტის ნამკვრევ წილ შლილისას.

მხოლოთ მაშვრალთა ნაოხარ მხარეს კვალათ ეხურა სევდის მანდილი. ღმერთო, მღირსე! იმ ნეტარ დროსა მათაც ვაპკროდეს მტანჯავი ძილი.

თურღოპირელი.

საყუზადღებო ცნობები.

გასასწორებელი რაზმი. როგორც ბათუმის დან ვეტყობინენ, იქ უკვე შესდგომიან აწყყო და ნამყო ბოქაულთაგან გასასწორებელი რაზმის შედგენას. სამსახურის ვადა აღნიშნულ რაზმში ყველა-

სათვის ერთგვარი არ იქნება: ვინც მეტ უნარს გამოიჩენს ბოქაულობის დროს, მას ზედმეტი ხნით დასტოვებენ. აღნიშნულ რაზმში უკვე ჩარიცხულა ცნობილი „იაშა ბოქაული“; ანუ უკეთ ვსთქვათ ლანჩხუთის მეფარენ ნაბოქაულარი (და არა ნაბუქაოდონოსორი) მიქიაშვილი. როგორც აზბენ ის დაპყფს ამ „გასასწორებელ“ რაზმში ხუთთოდე წელიწადს. სხვა ბოქაულები, როგორც ყოფილნი, აგრეთვე აწმობოქაულენი, მოუთენლათ მოვლიან თავიანთ რიგს.

ჰამარში ფრენა. ფრინველთა მიზაქვა რომ მოდაში შემოვიდა, ამას, ვვონებ, ბევრი ლაპარაკი არ სტირია, მაგრამ ჩვენში ამის მსგავსი ჯერ არაფერი გვინახავს. მხოლოდ ამ დღეებში და ისიც თავად-აზნაურთა განსაკუთრებული კომისიის მეოხებით, ქართული გიმნაზიის ეზოდან აფრინდა რამოდენიმე მოსამსახურე პირი. საფრენი მანქანა ყველას საკუთარი სისტემისა აქვს. სამწუხაროთ, ზოგიერთ უსაქმო და უაზრო პირთაგან აყენებული ქარი, ხელს უშლის ავიატორთა მშვიდობიანათ ჩამოშვებას და ჯერაც არ იცის საზოგადოებამ რა ბედი ეწია იმათ მოგზაურობას. გიმნაზიის მოსწავლე ახალგაზრდობა მუშტ-აპრობილი ელის მათ შეხვედრას.

პარტიველი მენცილოკაღისტი ვინ არ იცის, რომ, მიუხედავთ „ბატისა და წეროს“ იგავისა, ბევრი საქმის ხელის მოკიდება და მით უმეტეს ბევრი ცოდნის ჩაბლაუჭება ჩინებულა რამეა. ივანე როსტომაშვილი ჩვენში უკვე ცნობილია;

- ა) როგორც საუკეთესო პედაგოგი,
- ბ) როგორც საუკეთესო რედაქტორი,
- გ) როგორც საუცხოვო მწერალი,
- დ) როგორც უებარი ექიმი,
- ე) როგორც დიდი ოკუშორი,
- ვ) როგორც ჩინებული აგრონომი,
- ზ) როგორც დახელოვნებული „საორსულო მეკა“;

თ) როგორც ასეთივე „საქორწილო მეკასე“,  
ი) როგორც ასეთივე „სამარხი მეკასე“,  
კ) როგორც ერთგული არქეოლოგი,  
ლ) როგორც უდიდესი ასტრონომი,  
მ) როგორც უბადლო ასტროლოგი,  
ნ) როგორც უწარჩინებულესი ქართველი და სხვა მრავალი. ერთი სიტყვით შემოხსენებულ „ბატს“ მან ბევრით გაუსწრო წინ და მის ცოდნათა ჩამოსათვლელათ ქართული ალფავიტიც ცოტა იქნება. აი ამ მოღვაწეს დაუწერია ახალ-ახალი წიგნები და დაურიგებია თფილისის რედაქციებში. ჯერ-ჯერობით დაუბეჭდია მხოლოდ ოთხი წიგნი:

- ა) პირუტყვთა მოვლა-მოშენება (ზოოლოგია)
- ბ) თესვა ბალახ-ბულახი „ალავერდასი“ (აგრონომია)

გ) ბინის საკითხი (სოციოლოგია)  
 დ) ორსულობა, მშობიარეობა და ახალშობილ-თა მოვლა-მოშენება (მედიცინა).

როგორც ვაიგვთ, დანარჩენი დარგებიდან უკვე დაუწერია ორ-ორ, სამ-სამი წიგნაკი და დაბეჭდვისათანავე გაუგზავნის თფილისის რედაქციებს რეკენზიებისათვის.

ბ-ნი როსტომიშვილი ივანე ჯერ სულ ახალგაზრდა კაცია და შემდეგში მისგან მეტს უნდა მოველოდეთ, ვიდრე ტიტე ართმედაძისაგან.

**დებეძები.**  
 (ბანსე ძის საკეტუ)

**მითაშრა.** გაზ. „საქმეში“ № 4 მოთავსებული ცნობა, ვითომც კიქაურაში „მოწინავე“ ზომუშავენი იყვნენ — სიმართლეს მოკლევლია. აქაური მუშები როგორც განვითარებით, აგრეთვე უზნეო მოქმედებით უკან სდგანან სხვა მუშებზე, რასაც მრავალი ფაქტებით დაამტკიცებენ, საჭიროების დროს. ამიტომ, როგორც გადმოგვცეს, აღნიშნული მუშები სამართალში აძლევენ გაზ. „საქმის“ კორესპონდენტს, ცილის-წამებისთვის.

**იჭიდნეცე.** ამ დღეებში მოხდა კიქაურის კარტოჩენიკთა ჩემპიონების პირველი გაჯიბრება. გაღმა კიქაურის ჩემპიონმა, ბ. ლ. ყორყულიანმა, ორი მუშტი წააგო. მოგება დარჩა „გამოღმა კიქაურის“ ჩემპიონს, ლაზარეს.

**იჭიდანეცე.** ოგანეზოვის შავი ქვის სარცხი ქარხნის ადმინისტრაციამ, სამუშაო დრო 10 საათამდე ასწია. შემდეგისათვის განზრახვა აქვთ, სამუშაო დრო ოცდათექვსმეტ საათამდე ასწიონ, მაგრამ ვინაიდან დღე და ღამეში ამ ყაზათ ოცდაოთხი საათის მეტი არ არის — განზრახულია, დიქირაონ ორი გამოკდილი „ტორმუჩიკი“, რომლებიც „დაატორმუშებენ“ დედამიწას, რომ ოცდაოთხი საათის მაგიერ ოცდათექვსმეტი საათი მოანდომოს გადაბრუნებას. თუ ასეთი „ტორმუჩიკები“ იშოვნეს — საქმე გაიჩარხება.

**ჭიათურა.** ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას კიდევ ღრმა ძილით სძინავს. საზოგადოებისგან გადადებულია 3,000 მ. პრემია, ვინც ისეთ „პრეპარატს“ გამოიგონებს, რომ გამოგება გააღვიძოს.

**იჭიდანეცე.** ქიათურის მცხოვრებლებმა დაადგინეს, ააშენონ შუაგულ ბაზარში ოთხამდე ეკლესია, რათა დაცულ იქნან ცეცხლისაგან...

**იჭიდანეცე.** ადგილობრივმა მოწინავე ინტელიგენციამ უღალატა თავის მოვალეობას, ამიტომ უკანასკნელმაც მათ სამაგიერო გადაუხადა.

**გამოკვრით!**

(თუ გაგებს, ბ-ნი გ. ახალციხელის სკურადღებოთ:)  
 „ვერ ვჭამე მარხვა დოსთინა,  
 ქურდობა ვერ ვქენ ბბოსთინა“.  
 ხალხ. ანაზა.

ამ ანაზას რო არ ვაგვიჩერებოთ, იქნებ ჩვენც ასე აღარ ვაგვწყრომოდა „სახალხო გაზეთის“ მქადაგებელი ბ-ნი გ. ახალციხელი. ჩვენი უბედურება სწორეთ აი აქ არის ჩამარხული, რომ „მარხვა ვერ ვავტებთ დოსთინა და ქურდობა ვერ ვქენით ბბოსთინა“.

იმ პატარა სახუმარო წერილში, რომელსაც ასე გაუბრაზებია პატივცემული გ. ახალციხელი, ჩვენ სრულიად არ გამოგვიყვია მისი „უანგარო და მალალი ზნეობის მქადაგებელი“ პიროვნება იმ ვარსკვლავთ კრებულიდან, რომლის „აღფა ომე-გა“ გოთუა და ტყავაძე არიან. ჩვენ შევვებთ მთელს რედაქციას, რომელსაც ჩვეულებათ ვადაქცევია ავთამყოფი ყოყოჩობა და მედიდურათ ხელის წამოკვრა ის წერილი, უადგილობის გამო, ორი კვირით დაგვიანდა და ჩვენ რომ გ. ახალციხელის „დოსთინა“ ყურადღება მიგვექცია და მისი „ბბო\*“) დაგვემაღა, ის წერილი სულაც აღარ უნდა დაგვებეჭდა. ვინც „ნოვია რეჩს“ კითხულობს\*\*), იმას ეცოდინება რომ ბ-ნმა ახალციხელმა დოც შემოგვთავაზა და ხბოც. ისე თავაზიანათ მოძისენია ჩვენი რედაქციის წევრის მიერ წარდგენილი ლექსი. აქ არ მოგვეყვას არც დო და არც ხბო ბ. ახალციხელისა იმიტომ, რომ გვეშინია თავის ქებათ არ ჩამოგვართვან მკითხველებმა. ჩვენ კი ჩინებულათ ვიცით ფასი ბ. ახალციხელის როგორც დომხალისა, აგრეთვე ხბოსი, ანუ უკეთ ვსთქვათ, როგორც ქებისა, ისე ვინებისა და დაე იცოდეს მან, რომ „მართახის რედაქციის“ თანამშრომელნი უფრო მაღლიერნი იქნებიან, როცა მისგან მხოლოდ ლანძღვას მოისმენენ:

„არა გვეჭამს რა დიაცისა,  
 არცა მოწმენდილი ცისა“,  
 არც ახალციხურ კაცისა.

გ. ახალციხელი ჩვენს ყურნალს ზნეობას უკითხინებს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებიდან და უკითხინებდა ვგონებ... ნეტარ ხსენებული „ნიშადურიდანაც“. გესმით მკითხველნო, სად, რომელ ტაძარში შეისწავლა ჩვენზე ვგზომ განრისხებულმა პუბლიცისტმა ზნეობის კანონები? ის შევარდია გუნიას სკოლისა და მოკიქული პარ. გოთუას მო-

\*) იგულისხმეთ მისი რეცხნია 4 ენკენისთვის საღამოს გამო.

\*\*) ჩვენ გვევონა „სახალხო გაზეთის“ რედაქცია, როგორც ახლო ქარსუფალი გოთუა — ტყავაძე — ახალციხელი — თვალყურს ადევნებდა „ახალი სიტყვის“ კარაბაღანა.

ძღვრებისა. ახლა მოდი და ესოდენ ღრმად გაზნე  
ობრივებული მამა გახალციხელი ნუღაიწყებს თანა-  
მშრომელთა ჩვენთა ზნეობრივ განსწავლას.

ახირებული კი ყოფილა მანც ეს დალოცვი-  
ლი მისიონერი „სახალხო გაზეთისა“. ჩასციებია  
ნინოშვილს და ლამის ამოგვაშხამოს იმისი ერთი  
მოთხრობის გადათარგმნა. ეგნატე ნინოშვილს ასეთი  
„პატივი“ ტრეტე ართმელადემაც კი სცა და თავისი  
„გენიოსური“ ნაწარმოების გასაღება ეგნატეს სა-  
ხელით შოისურდა. ამისა გამო კიდევაც მიიღო შე-  
საფერი ჯილდო, ვისგანაც ჯერ იყო.

მაშ რაზე მოსდის გული ბნ ახალციხელს?  
ალბათ იმაზე, რომ ჩვენს ჟურნალში ვერ თანამ-  
შრომლობენ ისეთი ბუმბერაზები, როგორც გოგო-  
ლი, მარკ ტვენნი, ჩეხოვი და სხ. იყვნენ, ან ისეთი  
პუბლიცისტი მორალისტები, როგორც თვით ბ-ნი  
გ. ახალციხელი და მისი ამჟოლ-დამჟოლნი პრძან-  
დებიან. ახირებული პრეტენზია თქვენმა მშემ! ჩვენს  
თანამშრომლებს არასოდეს არ განუზრახავთ ახტომა  
იმას ზევით, სადამდინაც შექცაათ და გარწმუნებთ,  
თქვენც, ბ-ნო გ. ახალციხელო ტყვილათ აიტყენთ  
ფეხებს

დასასრულ მოგახსენებთ, რომ სრულიად უმი-  
ზეზოთ აქიანურებთ ამბავს თქვენი რეცენზიის შე-  
სახებ, რადგან ბევრმა იცის, რომ ის წერილი თქვენს  
რეცენზიაზე ერთი კვირით ადრე იყო დაწერილი.  
იქნებ თქვენ ისი გინდათ აქნობოთ ხალხს, რომ  
რეცენზიების წერა შეგიძლიათ?

ჩვენი გულწრფელი სურვილია განაგრძოთ  
თქვენი მოღვაწეობა, მაგრამ არა იმ იარაღით, რომ-  
ლითაც აგრე ეწვალებოთ, არამედ იმით, რომელსაც  
არიგებენ „მათრასის“ იმ ნომრის ბოლო გვერდზე,  
რომელშიაც თქვენი გამაცხარებელი წერილია მო-  
თავსებული.

ყარყუმი.

### ბიბლ იოგრაფია.

(„დონისა“ და „თანისა“ ბრძოლა).

ჩვენს მკითხველებს, ასე თუ ისე, ანუ ცოტათ  
თუ ბევრათ („დონისტურად“ ცოტად თუ ბევრად).  
გაეგებათ საქმის ვითარება და მისი მიზნინარეობის  
მიდრეკილება. ახლა უმჯობესია ვალაპარაკოთ ახ-  
ლად მოვლენილი ბელადი „დონისტებისა“ ბ-ნი  
მ. ქ. ყიფიანი.

„ვიცი სახუმარო საქმეს არ ჩაქვიდვარ, როდესაც  
დონის მოსარჩლედ გამოვქვიდვარ, მაგრამ რაკი მე მგონია,  
რომ ს. ზუნდაძეა ჩემდარი, როგორც მას ჰგონია ჩვენა  
ვართ შემეცდარი, უნდა ან თავი გავიტანოთ, ან მომპყ-  
ლას გულკეთილმა ახირებამა“.

მე დარწმუნებული ვარ ბევრი მკითხველი შე-  
ქედადედა ექვის თვლით ჩვენ მიერ წამოყენებულ  
ლოზუნგს „დონისტთა“ პარტიისას:

„ან „დონი“ და ან სიკვდილი!“

ახლა საბუთი ვეძლევათ ის ეჭვები თქვენთვის  
შემოინახოთ, იქნებ სხვა დროისათვის დაგჭირდეთ,  
რამეთუ ზემორე ამონაწერი, რომელიც ამოღებუ-  
ლია წიგნაკის მე-13 გვერდიდან ცხად ყოფს ჩემს  
მოსაზრებასა, იმ განსხვავებით, რომ მე ვთქვი „სი-  
კვდილი“ და დონისტი კი ამბობს „სიკვდილი“ ო.  
გამსხვავება მხოლოდ ჰანის ხმარებაშია.

ბრძოლას ასე იწყებს ბ-ნი მ. ქ. ყიფიანი:

„დიდი ხანია დონს განაჰქვიენ, მაგრამ „პრინციპია-  
ლად“ მისი გამაჩანაგებელი ხმანალად მხოლოდ ჩემი მე-  
გობარი ს. ზუნდაძეა და ჯუბ-ჩემად ბ-ნი თ. ჯორდანიასა\*,  
ამიტომ დღეს დონის მომხრეობა ადვილი გასბედი აღარ  
არის და დიდი საბუთიანობა გვჭკირია“.

როგორც მკითხველი ხედავს, დონის მომხრე-  
ობა ადვილი საქმე არა ყოფილა და უშთავრესი  
უბედურება კიდევ ის არის, რომ „საბუთებიც“  
ყოფილა საქრო.

„ნუ იტყვით, ეს საქმე საქმედ არ ჩაიბთვლებოდეს:  
ჩვენ დარწმუნებული\*\*\*) განსლავართ, რომ თანის „შემოკვე-  
ხებამ“ განვითარებითს ბრუნვაში, უვიცობის ბეჭედი დააქს-  
ვა\*\*\*) მარსლ წერას“.

მართლაც ძნელია, როცა ვინმე სხვის საქმეში,  
ან სხვის ალაგას, ეკვებება“ აგრეთვე ძნელია, რო-  
ცა „კვლევიარი“ ისეთ მეტკნიერებაში ჩაეკვებება  
რომლისაც ბევრი არაფერი გაეგება, რამეთუ ასეთი  
მკლევარი ყოველთვის თავის დასაკლავ დაწას გა-  
მოჰქექს ხოლმე

თანის „ჩამოკვებებამ“ დონი მართლა დიდს  
განსაცდელში ჩაადგო, თურმე და თუ არ ერთი  
უცაბედი შემთხვევა, შემთხვევა დამოკიდებული მე-  
ზისა, თუ პოეტის აღმადგურნაზე. დონის საქმე წა-  
სული იქნებოდა. ამ ამბავს ასე აგვიწერს ბ-ნი მ.  
ქ. ყიფიანი:

„პოტი გ. ვოლსკი რომ არ მ-ჰშვლებოდა თავისი  
ლექსო: „შენ გეტრფი მარადიო“ სცოლავ დონსა, განჭრე-  
ბოდა დონი და მათნ ერთად განვითარებითი ბრუნვაც!“

გ. ვოლსკის აზრათაც არ მოსვლია, რომ „შენ  
გეტრფი მარადისის“ დაწერით ასეთი დაუფასებელი  
ღვაწლი დასლო „დონისტების“ პარტიას, რომ  
მხოლოდ მან გადაარჩინა აუცილებელ სიკვდილს  
დონი და განვითარებითი ბრუნვა.

იხტორიკოსი.

\*) სახოჯალოთ ბ-ნ თ. ჯორდანიას არ უყვარს ხმაუ-  
ბობა და მოქმედებაში საჩუთათო მიმართულებას ამჟობინებს.  
ნუ თუ ეს საქრახისია!

ეშმაკი.

\*\*) ნეტარ არიან მორწმუნენი.

ეშმაკი.

\*\*\*) თქ. ჰანებო! რასშიგან ხართ,  
რას გაწუხებთ, რა ხნე გჭირია,  
უთქვენთ რომ ყიფიანი  
არ აღაღებს ბაგეპირისა!

ეშმაკი.

### პროკინცია.

**დ. ხაშური.** ძმო ეშმაკო, თუ შენი ტარტარო-  
ზი გწამს, ერთი ამოიარე ხაშურისაკენ... უპირველეს-  
სად ყოვლისა ინახულე „ბაგაყნი“ კონდუქტორი  
ვლადიმერ ორჯონიკიძე და ჰკითხე: ვინ მოგცა  
ვატბატონს ასეთი უფლებები-თქო!.. და თუ ძა-  
ლიან მაგარი შუბლის პატრონი გამოდგეს, მაშინ  
შენი კურთხეული მათრახი მოიშველიე, იქნებ ამ  
საშუალებით მაინც შესძლო მისი სინდისის ვალ-  
გიძება. დამერწმუნე მთელი ხაშურის საზოგადოება  
დაგიმადლებს.

ამასთანავე სათითაოთ ინახულე: მ. ყიფიანი,  
სილ. იოსელიანი, არსენ ოშიაძე, მიხა ლაბაძე,  
პელო ლაბაძისა და ჰკითხე: რა ჩაგიდენიათ?! და-  
ჩაგრულს უნდა დახმარება, თუ დამჩაგვრელსა-  
თქო? ამ კითხვაზე თუ სირცხვილით არ გაწითლ-  
დენ, — ისევე შენი მათრახით შეაწითლე.

იკინთე აბრამიძე.

**ნიძილანძო.** აქაურ ყასბებს კარგა ხანია, მუშ-  
ტრები სინდის დაკარგულებს უწოდებენ. ამაზე  
ამ დღეებში ყასბებმა ფიცით მტკიცება დაიწყეს:  
ღმერთი, რჯული, ჩვენ სინდისი არ დაგვკარგვიაო!..  
დაინიშნა კომისია, რომელიც პირველათ იმ აზრზე  
იღგა: იქნება ყასბებმა სინდისი „დოვესკას“ გა-  
დააყოლესო... მაგრამ არც ასე გამოდგა, კომისიამ  
ყასბები გაამართლა: ამათ არც სინდისი დაუკარ-  
გავთ და არც ნაშუსიო (ე. ი. ვისაც არა აქვს-რა,  
არც დაეკარგებო)!..

სიკოია.

**ბ. მიხაილძე.** აქაურმა რკ. გზის დეპოს  
უფროსმა თუ ასე განაგრძო მოსამსახურეების დათ-  
გონა და გადარეკ-გადმორეკა, სულ ცოტა ხნის  
შემდეგ დეპოში მარტო თვითონ დარჩება და შემ-  
დეგ ვილას თავზე იუფროსებს ასეთი უფროსობის  
მოყვარული ადამიანი, ჯერ ამაზე არ დაფიქრებუ-  
ლა...

სოსო.

**დ. ხაშკინდია** თუ ბოროტ ენებს დავუჯე-  
რებთ, ადვილი გასაგები იქნება სამტრედიელთა  
მწუხარება. ისინი, ე ი ბოროტი ენები დაყენებით  
ავრცელებენ ხმებს ადგილობრივი ფოსტის უფრო-  
სის გადაყვანის შესახებ. მთელი დაბა, განურჩევ-  
ლად ეროვნებისა, ფეროვნებისა, ჯეროვნებისა და  
წვეროვნებისა ჯერ ჯერობითვე სტირის ამ სამწუხა-  
რო ამბისა გამო და ხმები რომ მართლაც გამარ-  
თლდეს, მაშინ ნახეთ რა ცოდვის დღე აგვიდულ-  
დება. მარტო ის რათა ღირს, რომ მთელ დაბას  
„კინტოურის“ მოთამაშე აღარ ეყოლებას მოდი და  
ნუ იღარდებ!!!

**სოფ. ჯაგანი.** „ღმერთი თუ გწყალობს, ეშ-  
მაკები რას დაგაკლებენო“ ამბობს, მგონია, ინდო  
ამერიკული ანდაზა და ეს რომ მართალია ცხადთ  
სჩანს მამა სამსონის ცხოვრებიდან. რამდენი ხანია  
ელის სოფელი „მისგან“ ხსნას და ვერ ელირსა.  
ახლა თქვენ გამოიცანით, ღმერთი ვისა სწყალობს:  
სოფელს, თუ მამა სამსონს?

**ბ. კულაში.** ადგილობრივ „კენინათ“ ა ერთ  
ჯგუფს გნაზრახა აქვს ახლო მომავალში საერო  
კრება გამართოს ეგრეთ წოდებულ „ჯვარცმას“.  
საგანს კრებისას მხოლოდ და მხოლოდ ქალთა სა-  
კითხი შეადგენს. დაწვრილებით შემდეგ.

„ისევე“.

### ფოსტა.

**ბათუმი. ზღვისპირელს.** „ქურდი მიხლევე  
დაიქირესო“ რო იტყვიან, სწორეთ თქვენზე ითქმის.

„არგინ მინახავს გამწარებული,  
როგორც მე დღეს ვარ დაგლაზე ული,  
გულზე დანა მაქვს მე დასობილი,  
თავში ჰქუა მაქვს გალაყვებული,  
უცნებოთა ვარ გაჩერებული  
ბათუმის ქალაქს ვარ ჩამოსული.  
მე არა მემის მათი რუსული  
ვერ გაგაჩრე იმათი ქალი“.

ნუ თუ გეგონათ, რომ თქვენს მეტი ვერაინ  
იცნობდა დღევანდელს ჩვენს მწერლობას? შემცდა-  
რი ბრძანდებით ბ-ნო ზღვისპირელი! ეშმაკმა გვით-  
ხრა, რომ ეს ლექსი თქვენ მოგიპარავთ ბ-ნი ჯაყე-  
ლის პოემიდან („ლექსი ცხოვრებიდან“ გვ. 13).  
თქვე კაი კაცო, თუ კი იბარავდით ბარემ რუსუ-  
ლიდან მოგებარათ კარგი რამ, როგორც ვ. გუნია  
და ი. ევდოშვილი შევბიან ხოლმე.

**ხონი. ბუღბუღს** თქვენი ფსევდონიმი სწო-  
რეთ რომ პოეტის შესაფერია, მაგრამ ლექსები კი...

„დილის ყვავილი  
თავს აკანტურებს.  
კრემლისა წყალებს  
ბევრსა ასტურებს...  
მასთან ბინა აქვს  
მგლებსა და ტურებს,  
მზე კი მალლიდან  
ყველას ახურებს“.

აღბათ მზემ ცოტა თქვენც შეგახურათ, თო-  
რემ წინააღმდეგ შემთხვევაში მუზა ამ ზომ არ ადგი-  
ფრთოვანდებოდათ. დღეის შემდეგ ჩრდილოში სწე-  
რეთ ხოლმე და რაც დასწეროთ ბ-ნ იოსებ იმედა-  
შვილს გაუგზავნეთ „თეატრისა და ცხოვრების“  
რედაქციის სავარძელში მჯდომარეს.


„მათრახ სალამურის“ რედაქცია სთხოვს ხელის  
მომწერლებს, რომ ფული გამოგზავნონ ვასო ბოლ-  
ქვაძის სახელზე. ვისაც რედაქციის სახელზე აქვს  
გამოგზავნილი უნდა შესცვალოს.




თფილისი, ვოლოკინის კროსკ. № 6, ტელეფონი № 481.

სილულისსაგვკურნალო ფხალი


გ. ლალიძის და აგზ.



3 გაკვეთილი: შიშვე იარაღი. მოხმარა.



4 გაკვეთილი: კენჭობა



ს ბ ბ ც ე ი